



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №1/2017

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

პროგრამული კოდი	ხარჯთაღრიცხვა	თანხა (ლარი)
სულ	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	39,011,899
	ხარჯები	37,654,754
	შრომის ანაზღაურება	17,496,769
	საქონელი და მომსახურება	7,907,429
	სხვა ხარჯები	12,250,556
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,357,145
06 02 01	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	28,120,049
	ხარჯები	26,762,904
	შრომის ანაზღაურება	17,274,469
	საქონელი და მომსახურება	7,099,729
	სხვა ხარჯები	2,388,706
	არაფინანსური აქტივები	1,357,145
06 02 02	არჩევნებისათვის მოხელეთა მომზადება - გადამზადება	1,030,000
	ხარჯები	1,030,000
	შრომის ანაზღაურება	222,300
	საქონელი და მომსახურება	807,700
06 02 03	საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი	2,242,850
	ხარჯები	2,242,850
	სხვა ხარჯები	2,242,850
06 02 04	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება	7,619,000
	ხარჯები	7,619,000
	სხვა ხარჯები	7,619,000



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №2/2017

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 26/11/2015, 010190030.15.008.016218) დამტკიცებული რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №3/2017

„ცესკოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ ცესკოს 2015 წლის 12 დეკემბრის №68/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „ცესკოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ ცესკოს 2015 წლის 12 დეკემბრის №68/2015 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 14/12/2015, 010220020.15.008.016232) დამტკიცებული დანართის გრაფა „1. თანაშემწეები, მრჩეველი და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი“ და გრაფა „2. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

1. თანაშემწეები, მრჩეველი და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი		
1	თავმჯდომარის მრჩეველი	არ არის სავალდებულო
2	თავმჯდომარის თანაშემწე	არ არის სავალდებულო
3	თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე	არ არის სავალდებულო
4	ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი	არ არის სავალდებულო
5	ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი	არ არის სავალდებულო

2. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი		
1	დეპარტამენტის უფროსი	სავალდებულოა
საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის განყოფილება		
2	განყოფილების უფროსი	სავალდებულოა
3	სპეციალისტი (III კატეგ.)	სავალდებულოა
საარჩევნო პროცედურებისა და საოქმო შედეგების განყოფილება		
4	განყოფილების უფროსი	სავალდებულოა
5	სპეციალისტი (III კატეგ.)	სავალდებულოა
6	სპეციალისტი (II კატეგ.)	სავალდებულოა (გარდა სტამბის თანამშრომლებისა)
7	სპეციალისტი (I კატეგ.)	სავალდებულოა
8	დამხმარე მოსამსახურე	არ არის სავალდებულო

”

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №4/2017

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 12 დეკემბრის №64/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 12 დეკემბრის №64/2015 დადგენილების (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 14/12/2015, 010240060.15.008.016228) დანართში შევიდეს ცვლილება და დაემატოს მე-7 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის საარჩევნო პროცედურებისა და საოქმო შედეგების განყოფილების სპეციალისტის (I კატეგორია) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. აუცილებელი მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება, მათ შორის გამოცდილება საორგანიზაციო საკითხებში;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

2. აუცილებელი უნარ-ჩვევები:

ა) ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;

ბ) ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;

გ) შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარები;

დ) სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;

ე) დროის ეფექტურად განაწილების უნარი.

3. სასურველი მოთხოვნები:

ა) მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;

გ) საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება;

დ) უცხო ენის ცოდნა.

4. საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;

გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ) ცესკოს რეგლამენტი;

ე) დეპარტამენტის დებულება.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №5/2017

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, 26/11/2015, 010190030.15.008.016218) დამტკიცებული რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. ბრძანებით განსაზღვრავს ცესკოს აპარატში და საოლქო საარჩევნო კომისიებში სტაჟიორთა მიღებისა და სტაჟირების გავლის წესს;“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №6/2017

„საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №2/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №2/2012 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 06/02/2012, 010190020.15.008.016020) დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. კომისიის თავმჯდომარე განკარგულებით განსაზღვრავს სტაჟიორთა მიღების, სტაჟირების გავლის ვადებს, სტაჟირების საკონკურსო კომისიის შემადგენლობასა და კონკურსის პირობებს.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №7/2017

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, 06/02/2012, 040030000.15.008.016025) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ¹) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ცესკოს მიერ დამტკიცებული ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების შესრულების უზრუნველყოფა;“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №8/2017

„მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 20 მარტის №11/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 20 მარტის №11/2014 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, 21/03/2014, 010240000.15.008.016128) დამტკიცებული, მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის პირველი მუხლის 1.10 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.10. იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული არ არის, ან არასრულად ან არასწორადაა მითითებული საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ამომრჩევლის რომელიმე მონაცემი, აღნიშნული სტრიქონი გადაიხაზება და ხელმოწერა ბათილად ჩაითვლება, ხოლო ბლანკზე მიეთითება დარჩენილ ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №1/2017

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი საგრანტო
კონკურსის დაფინანსების მიმართულების განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებად განისაზღვროს: პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №2/2017

№39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების საფუძველზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან, აკმაყოფილებს რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-11 - მე-13 და მე-17 პუნქტების მოთხოვნებს და ამავდროულად, სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიიღო რა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-20 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-7, მე-10 და მე-16 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნას ნიკოლოზ ლოლაძე.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 31 იანვრიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №3/2017

№62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების საფუძველზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან, აკმაყოფილებს რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-11 - მე-13 და მე-17 პუნქტების მოთხოვნებს და ამავდროულად, სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიიღო რა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-20 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-7, მე-10 და მე-16 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნას გელა ცინცაძე.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 31 იანვრიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №4/2017

№40 ახალქალაქის და №57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების
ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და
სამდივნოს შექმნის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-12 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს კონკურსები №40 ახალქალაქის და №57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2017 წლის 24 იანვრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.), 10:00 საათიდან – 18:00 საათამდე, 2017 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 3. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამდივნო.

მუხლი 4. სამდივნოს დაევალოს კომპეტენციის ფარგლებში, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების შესრულება.

მუხლი 5. სამდივნოს ზედამხედველობას ახორციელებს ცესკოს წევრი თამარ მოძუაშვილი.

მუხლი 6. სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ შუკაკიძე - სამდივნოს ხელმძღვანელი;
2. ნინო უძილაური;
3. თამარ რევაზიშვილი;
4. ანა ცხადაძე.

მუხლი 7. სამდივნო კონკურსების დამთავრების შემდეგ წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
2017 წლის 20 იანვრის №4/2017 განკარგულების
დანართი

№	საოლქო საარჩევნო კომისიის სრული დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსიების ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	№40 ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისია	1	720 ლარი
2	№57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისია	1	690 ლარი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №5/2017

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ცესკოს 2015 წლის 25 ნოემბრის №175/2015 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 20 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №175/2015 განკარგულებით დამტკიცებული დანართის გრაფა „2. თანაშემწეები, მრჩევლები და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი“ და გრაფა „3. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

2. თანაშემწეები, მრჩევლები და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი				
1	თავმჯდომარის მრჩეველი	3	2,800	8,400
2	თავმჯდომარის მრჩეველი		2,800	
3	თავმჯდომარის მრჩეველი		2,800	
4	თავმჯდომარის თანაშემწე	1	1,150	1,150
5	მოადგილის თანაშემწე	1	1,150	1,150
6	ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი	1	3,750	3,750
7	ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი	1	1,150	1,150
სულ		7	15,600	15,600

3. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი				
1	დეპარტამენტის უფროსი	1	3,000	3,000
საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის განყოფილება				
2	განყოფილების უფროსი	1	2,300	2,300
3	სპეციალისტი (III კატეგ.)	7	1,700	11,900
4	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
5	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
6	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
7	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
8	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
9	სპეციალისტი (III კატეგ.)		1,700	
სულ		8	14,200	14,200
საარჩევნო პროცედურებისა და საოქმო შედეგების განყოფილება				
10	განყოფილების უფროსი	1	2,300	2,300
11	სპეციალისტი (III კატეგ.)	1	1,700	1,700
12	სპეციალისტი (II კატეგ.)	5	1,450	7,250
13	სპეციალისტი (II კატეგ.)		1,450	
14	სპეციალისტი (II კატეგ.)		1,450	
15	სპეციალისტი (II კატეგ.)		1,450	
16	სპეციალისტი (II კატეგ.)		1,450	
17	სპეციალისტი (I კატეგ.)	1	1,150	1,150
18	დამხმარე მოსამსახურე	1	800	800
სულ		9	13,200	13,200
სულ		18	30,400	30,400

»

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი